572
1971

№ 8 ოქტომბერი 1971

ნაპერწკალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებო ართავს

ნინო კერესელიძე

ბებო ართავს, დედა—აცხობს,
პურებს ასდის ოხშივარი.
უჰ, რა კარგი საღამოა,—
გარეთ წვიმს და ხბოც შინ არის.

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დათა პაპას კიტრები

ნოდარ კეკელიძე ნაბატები ვახტანგ გულისაშვილისა

— დათა პაპას, გაუმარჯოს!—დილაადრიან ესტუმრნენ მოხუცს სოსელო და გელა.

— იცოცხლეთ, შვილებო, შემოდით, რა შორიდან იმახით, კაცო!

ბიჭებიც მაშინვე ღობეს შემოურბენენ და ფეხაკრეფით მიიძურწებიან კიტრებში.

დათა პაპასთანა ბაღჩა იმ არემარეზე არავის არა აქვს. წელს მაინც კიტრს ისე უსხია, ისე მოიხელა თავი, ავ თვალს არ ენახვება.

— როგორ არიან კიტრები?—ეკითხებიან მოხუცს ბავშვები და თან ჩაცუცქულები შეჰყურებენ მწვანედ მოხასხასე, თითისხელა კიტრებს.

— პაჰ, პაჰ, პაჰ!—თავს იქნევს დათა პაპა,—განა კითხვა უნდა! ორიოდე კვირაც და იგეთი შუშა კიტრები გვექნება რომა, ჭამით ვერ გაძღებით.

— ახლა რა სჭირდება კიტრებს?

— ახლა?—თავს იქექავს დათა პაპა და თან ეშმაკურად უყურებს ბიჭებს,—რა და, კარგი მადლიანი დაჟიება!

სოსელომ და გელამ კარგად იციან, რასაც ნიშნავს „დაჟიება“. ეზოში თავპირისმტვრევით გარბიან, ონკანს საიმედოდ წამოაცვამენ შლანგს და ისევ ბაღჩაში ბრუნდებიან. მერე რიგრიგობით რწყავენ, ხან სოსელოს უჭირავს შლანგი, ხან—გელას. დათა პაპა კი ღობესთან დგას და დინჯად, გულდაგულ თლის ჟუმა კიტრებს, ზედ მარილსაც აყრის და ბიჭებს უწვდის:

— აჰა, ესეც თქვენი გასამრჯელო!—იღიმება დათა პაპა.

სოსელო და გელა მადიანად ახრამუნებენ გემრიელ კიტრს, თან თვალებში უყურებენ მოხუცს,—კიდევ რამე საქმე ხომ არ დარჩა გასაკეთებელიო.

ერთხელაც, დათა პაპას ბაღჩაში ფეხები დაუსველდა, გაცივდა და ლოგინად ჩავარდა.

ბიჭებს თუ დაადგათ, ახლა დაადგათ ჯაფა: ხან წამლებზე დარბოდნენ აფთიაქში, ხან ბაღჩაში ტრიალებდნენ.

— იქნებ კიტრებისათვის გემო გაგვესინჯა, სოსელო, ჰა? — დროდადრო გადაუკრავდა სიტყვას გელა მეგობარს და კიტრებისაკენ გააპარებდა თვალს.

— დათა პაპა რომ ადგება, გემოს მერეც გავუსინჯავთ.

— ჰო, ეს კი მართალია! — კვერს უკრავდა გელა, — ჯერ მაინც რა გემო უნდა ჰქონდეს!

ერთ საღამოს ცა ტყვიისფერი ღრუბლებით გადაილესა. შებინდდა თუ არა, კოკისპირულმა წვიმამაც წამოუშინა. ხევში წყალი ადიდდა...

— ერიჰაა! — არ ეპაშნიკა დათა პაპას ამინდი, — ვაიმე, ჩემო კიტრებო!

გადაუღებლად წვიმდა, ხევში წყალი მატულობდა...

სოსელომ საწვიმარი წამოისხა, ფეხები ჩექმებში გაჰყო და დათა პაპას მიაკითხა, მოხუცი ლოგინზე წამომჯდარიყო და ჩაცმას აპირებდა.

— რატომ დგები, დათა პაპა?

— ვერა ხედავ, შვილო, რა დღეშია პანტიანის ხევი, ამ ოხერმა ჯებირი თუ გადმოანგრია, მერე მოგეპამა ჭირი, ყველაფერს წალეკავს.

— მერე და, სიცხიანი სად მიხვალ, რა უნდა გააკეთო?

— რა ვქნა, აბა? რამეს ვიღონებ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოიცა, შენ არ გახვიდე გარეთ. ერთი რაღაც გამახსენდა, ახლავე აქ გავჩნდები! — წამოიყვირა სოსელომ, კარი გაიხურა და წვიმაში გაეწთო. გელასთან მიირბინა, დაუბარა, დათა პაპას მიხედეო და, თვითონ ორღობეში ჭყაპა-ჭუპით დაეშვა.

სოსელოს შაქრო მებულდოზერე შინ დაუხვდა.

— ჰაი, შაქრიი!

აივანზე შაქრო გამოიზლაზნა. ელექტრონის შუქზე, მობუზული სოსელო რომ დალანდა, გაოცდა, ნეტა რამ შეაწუხაო.

— ხომ მშვიდობაა, სოსელო?..

ბიჭმა სხაპასხუპით უამბო დათა პაპას გასაჭირი და დახმარება სთხოვა.

შაქრომ წვიმის სქელ ფარდას უხალისოდ გახედა, მერე ზარმაცად გადააქნია თავი და ჩაილაპარაკა:

— რას იზამ, რახან ეგრეა საქმე, მეტი რა გზაა?..

ბულდოზერმა რახრახითა და ვიშვიშით აიარა ჭყაპიანი აღმართი და დათა პაპას ბაღჩას ხევის მხრიდან მიანათა.

ნიაღვარს თავი აეშვა და პირდაპირ დათა პაპას კიტრებზე მითქიშინობდა.

— არიქა, შაქრი, ჩქარა! — ვეღარ ისვენებდა სოსელო.

— დამაცა, ამას ვუჩვენებთ სეირსა! — დაიმუქრა შაქრო; ბულდოზერი შეაბრუნა და უზარმაზარი ნიჩბით ქვა-ღორღის ხვეტას შეუდგა. ძალს ნიაღვარი იყო და ძალს — ბულდოზერი. წყალი თითქოს არ ეპუებოდა, მაგრამ ბულდოზერმა თავისი გაიტანა, გადაქცელილი ჯებირი საიმედოდ ჩახერგა და აზვირთებული წყალი კვლავ კალაპოტში მოაქცია.

დათა პაპა ფანჯრიდან უთვალთვალებდა ყველაფერს და იცოდა, რომ შაქრო მებულდოზერეს გვერდით გახარებული სოსელო იჯდა, რომელიც მასთან ერთად ებრძოდა გაავებულ ნიაღვარს.

ჩამოდი, მოინახულე

თინათინ კვირიკაძე

დადგა მცხუნვარე ზაფხული,
ჩამოცხა, სუნთქვა გაპირდა.
ბებოს წერილი მოვიდა,
გამოგზავნილი რაპიდან:
— ჩემო პატარა მერცხალო,
რად აგვიანებ ჩამოსვლას;
არ მოგენატრა სოფელი,
ამბის მოსმენა წყაროსთან?
არ მოგენატრა ფერდობზე
გოგო-ბიჭებთან თამაში,
ხევში პატარა წისქვილი,
განავარდება ჰაღაში?
ჩამოდი, მოინახულე
ამწვანებული მთა-ველი.
შენს მოლოდინში, ბებია,
ამომიღამდა თვალები.

ნახატი **გიორგი როინიშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გორის ძნელაძის ძეგლთან

გივი ძნელაძე

შენს მადალ ძეგლს
ნათელს აფრქვევს
მოზეიმე მზე...
შენი სიტყვა,
შენი საქმე
ჩვენში ცოცხლობს დღეს.

ბედნიერი ბატარები
გახვევია გარს,
მოწიწებით ახსენებენ
შენს სახელს და გვარს!

ნახატი **რევაზ ცუცქირიძისა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმები

იური იაკოვლევი ნახატები ი. გრინშტეინისა

უფროსი ძმა რომ გყავს, თავი ქუდში გაქვს: გირჩევს, დაგარიგებს... ვაგლახად ვერც ვერავინ წამოგარტყამს თავში.

ვალოდია ულიანოვს ჰყავდა უფროსი ძმა — საშა. ერთი შეხედვით ძმები ერთმანეთს არა ჰგავდნენ. ვალოდია უფრო ცოცხალი და მხიარული იყო, ერთ ადგილზე ვერ გააჩერებდი,— ხან რა თამაშს მოიგონებდა და, ხან რას; იცინოდა, თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა...

საშა ოთხი წლით იყო უფროსი ვალოდიაზე, მაგრამ არასდროს არ იმჩნევდა უფროსობას, ძმასთან ისე თამაშობდა, როგორც ტოლთან. ვალოდიას საშასი ყველაფერი მოსწონდა: იმისი დინჯი ლაპარაკი, თავშეკავებულობა და, რაც მთავარია, ის, რომ საშას განსაკუთრებით უყვარდა წიგნები.

,,ოთხი წლის შემდეგ მეც ისეთი ვიქნები, როგორიც საშაა''.—ფიქრობდა ვალოდია და სულ იმას ცდილობდა, უფროს ძმას დამსგავსებოდა. რამეს რომ ჰკითხავდნენ, ჯერ უფროს ძმას შეხედავდა, აბა, რას იტყვისო...

ძმები ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ოთახი პატარა იყო, შიგ ორი საწოლი და ერთი მომცრო მაგიდა იდგა. ვალოდია და საშა საათობით ისხდნენ და კითხულობდნენ ხოლმე, ერთმანეთს არასოდეს არც ხელს უშლიდნენ და არც კინკლაობდნენ. თავისუფალ დროს ჭადრაკს თამაშობდნენ, ან ვოლგაზე მიდიოდნენ სასეირნოდ.

მართალია, ისინი ერთმანეთს არა ჰგავდნენ, მაგრამ საერთო ბევრი რამ ჰქონდათ: უსამართლობას ვერც ერთი ვერ იტანდა.

— რამდენი კარგი ადამიანია გაჭირვებული და დამცირებული,—იტყოდა ხოლმე საშა,—განა ეს სამართალია?!

— უნდა ვიმოქმედოთ, უნდა ვიბრძოლოთ...,— აენთებოდა ვალოდია.

... გადიოდა წლები. საშამ გიმნაზია დაამთავრა და პეტერბურგში განაგრძო სწავლა. ახლა ძმები ზაფხულობით ხვდებოდნენ ერთმანეთს,— არდადეგებზე. ვალოდია ატყობდა, რომ საშა გამოიცვალა. იგი კიდევ უფრო უთქმელი გახდა.

მოთხრობები ვ. ი. ლენინზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი სულ მეცნიერულ წიგნებში ჰქონდა ჩარგული და იშვიათად თუ ჩამოაგდებდა სიტყვას უსამართლობაზე, ბრძოლაზე. ვალოდიას ეგონა: საშა მთლიანად მეცნიერებამ გაიტაცა და ბრძოლაზე აღარ ფიქრობსო.

მაგრამ ასე როდი იყო; ალექსანდრე ულიანოვი მეფის მოსაკლავად ემზადებოდა. მაგრამ იგი დაიჭირეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს.

საშას სიკვდილით დასჯა ელოდა.

ვალოდიამ გაიგო თუ არა ძმის ამბავი, საშინლად მოიწყინა, უნდოდა პეტერბურგში წასულიყო და ძმას გვერდით ამოდგომოდა, დაეხსნა იგი. მაგრამ 17 წლის ვალოდიას რა შეეძლო!

შლისერბურგის ციხეში, მშობლიურ სიმბირსკიდან შორს, სიკვდილით იქნა დასჯილი ახალგაზრდა რევოლუციონერი, ლენინის ძმა—ალექსანდრე ულიანოვი.

სიკვდილის ბოლო წუთამდე იგი იდგა, როგორც გმირი, არ გასცა ამხანაგები და უარი თქვა მეფისაგან პატიებაზე.

ძმის დაღუპვით ვალოდიას დიდი მწუხარება დაატყდა თავს. როგორ უნდა იცხოვროს საშას გარეშე, იგი ხომ მარტო ძმა არ იყო მისი. საშა იყო ვალოდიას მეგობარი და ყველაზე ძვირფასი ადამიანი დედის შემდეგ. იგი იყო კეთილი, მოკვდა ხალხის ბედნიერებისათვის!..

„როგორ უნდა ვიცხოვრო საშას გარეშე? — ეკითხებოდა ვალოდია თავის თავს და თვითონვე პასუხობდა:

— ისე, როგორც საშა ცხოვრობდა. უნდა, ვიბრძოლო, მაგრამ მარტომ კი არა, ხალხთან ერთად, რევოლუციონერებთან ერთად!“

დავით აღმაშენებლის ფრესკა გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე (XVI ს.).

დავით აღმაშენებელი

ფოტოები დავით იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ბადრიძე

ცხრაასიოდე წლის წინ საქართველოს შემოესივნენ თურქი სელჯუკები. ამ თურქებს ასე იმიტომ უწოდებენ, რომ მათ ერთ-ერთ ბელადს სელჯუკი ერქვა.

თურქები გამუდმებით აწიოკებდნენ ჩვენს სამშობლოს, თან მიჰქონდათ დიდი ნადავლი და, სულ იმას ცდილობდნენ, ჩვენი ქვეყნის ლამაზი ველ-მინდვრები და ეანა-ვენახები თავიანთი საქონლის საძოვრებად გადაექციათ.

სწორედ იმ დროს, 1089 წელს, საქართველოს სამეფო ტახტზე აიდა 16 წლის დავით მეოთხე.

დავითი იმთავითვე გამოირჩეოდა თავისი მკვირცხლი გონებით და განათლებით. იგი სხვებსაც მოუწოდებდა ესწავლათ. საქართველო ვერ გაძლიერდება და ვერ გახდება თავისუფალი, თუ მისი შვილები არ იქნებიან განათლებული და მცოდნენი,—ფიქრობდა ქართველთა მეფე.

მან გახსნა მრავალი სასწავლებელი.

დააარსა ქართული მეცნიერების დიდი კერა,—გელათის აკადემია.

მუსრი გაავლო ქვეყნის ორგულ დიდაზნაურებს და მდგმელმთავრებს.

შეადგინა დიდი და ძლიერი ლაშქარი; დაიწყო ბრძოლა საქართველოდან თურქთა განდევნისათვის.

და, 1121 წელს, აგვისტოში, დიდგორთან, გაანადგურა თურქი სელჯუკების ექვსასიათასიანი ლაშქარი; გაათავისუფლა საქართველო მათი ბატონობისაგან.

ეს გამარჯვება ქართველებს დავითის ბრწყინვალე ნიჭმა და ქართველი მებრძოლების თავდადებამ მოუტანა.

დიდგორის ომში გამარჯვებას, რომელიც მოპოვებულ იქნა 850 წლის წინათ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ბედისათვის. ამიერიდან ჩვენი სამშობლო თავისუფალი იყო და დავითს შეეძლო მთლიანად დაემთავრებინა მისი გაერთიანება.

მართლაც, ერთი წლის შემდეგ, 1122 წელს, დავით მეფემ აიღო თბილისიც, რომელიც ოთხას წელს იყო უცხო დამპყრობთა ხელში.

თბილისი კვლავ გახდა საქართველოს დედაქალაქი.

მადლიერმა შთამომავლობამ დავით მეფეს აღმაშენებელი უწოდა.

გელათის ღვთისმშობლის ტაძარი (XII ს.).

ზეცა წყალობად, ნუგეშად,
ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა,
ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა.
მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა.
ზე-ჩაგონებით გასწავლულს,
ენა მდინარე მეტყველსა!..

დავით მსთქვი: „იყავ ქალაქნი!“
და აღმოცენდნენ ქალაქნი!
განჰვლე უდაბნო ოხერი,
— სავსედ დაბებით შეჰქმენნი!
დაჰკარ წერაქვი, და აღჩნდნენ
ტაძარნი, ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჰმადლობენ
გალობით შენნი ივერნი!

ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი
ფენიქსებრ განახლებული,
დიდების სხივით შემოსილ,
მშვიდობით აყვავებული!..
ამხედრდი ლაშქრად,—და ილტვის
სულთანი შეძრწუნებული,
შირვან დერბენდი ჰყავ საზღვრად,
შენი ხმლით შემოხაზული.

გრიგოლ ორბელიანი

მონღოლური ხალხური ზღაპარი

იყო სამი წრუწუნა. ძმურად ცხოვრობდნენ.— ერთი გოჯა მიწის ნაკვეთის გარდა არაფერი გააჩნდათ.

ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა და მათი კარ-მიდამო სულერთიანად დაფარა.

დაიწყეს წრუწუნებმა თოვლის გადახვეტა. ხვეტეს, ხვეტეს და, უცბად თოვლში მუხუდოსოდენა ქოში არ ნახეს!

— აბა, წრუწუნებო, მიამბეთ, რა გიჭირთ და რა გილხინთო.

ადგა უფროსი წრუწუნა და დაიწყო:

— სამი ძმა ვიყავითო...

— ოჰ, ოჰ, ოჰ, რა შეგიყრიათ ბიჭო, თავიო...

— ერთი გოჯა მიწა გვქონდაო...

— ბიჭოს, დიდი ადგილ-მამული არ გქონიათო!

— ჰოდა, თოვლი მოვიდა. ვხვეტეთ, ვხვეტეთ და, უცბად ქონის ნაჭერი არ ვნახეთო.

— აუუჰ! არ აშენებულხართო...

— მივაბარეთ უმცროს ძმიკოს ეს ქონი. ამ უსინდისომ აილო და არ შეგვიჭამაო...

— ერიჰაა! დაუქცევია ოჯახი და ეგ არიო...

— ჩვენც ავდექით და მივტყიპეთო...

— აფერუმ თქვენს ვაუკაცობას,—ორი ერთს რომ მოერიეთო!—გადაიხარხარა მოსამართლემ,—

ადგნენ და უმცროს ძმას მიაბარეს: რომ გაგვიჭირდება, ძმურად გავიყოთო.

წრუწუნამ ვერ მოითმინა, მოდი, გემოს გავუსინჯავო. ჯერ ერთხელ მოციცქნა,—მოეწონა, მერე მეორედ, მესამედ... და ქონი სულ შემოეჭამა.

გაბრაზდნენ ძმები, წრუწუნა ერთი მაგრად მიტყიპეს და მერე მოსამართლესთანაც იჩივლეს.

მოსამართლემ თქვა:

ესაა თქვენი საჩივარი?! წადით ახლა და როგორც აქამდე გიცხოვრიათ, ახლაც ისე ძმურად იცხოვრეთო.

თარგმნა ენდი ნერეთელმა

გურამ ბახტაძე

„თოლია"

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

საზაფხულო ბანაკს „თოლია" ჰქვია. არ გეგონოთ, ეს ბანაკი სადმე მაღალ მთებში, ან ზღვის პირას იყოს გადაშლილი. არა, იგი თბილისის იმ ახალ უბანშია, რომელსაც ვარკეთილის მასივს ეძახიან.

ყოველ დილით პიონერები და ოქტომბრელები მოედანზე იკრიბებიან. ანძაზე ალამს ყველაზე მოწინავე პიონერები აღმართავენ ხოლმე. ამ საპატიო საქმეს ქუქუნა მასწავლებელი ხშირად ოქტომბრელებსაც ანდობს. აი, დღესაც ოქტომბრელთა ვარსკვლავის ხელმძღვანელმა, მეორეკლასელმა თემურმა ააფრიალა ალამი.

წინა დღეს პიონერები ჯართის შესაგროვებლად წავიდნენ. ოქტომბრელები წიგნს კითხულობდნენ, მათთვის არაფერი უთქვამთ. მაგრამ, აბა, ბანაკში რა გააჩერებდათ! პირველი თემური წამოხტა, შემდეგ გოჩა, ლია, კახა, ზაზა და სწრაფად მოეფინენ მიდამოს. მალე რკინის დიდი ნაჭრებით აივსო ოქტომბრელთა სათამაშო მოედანი.

* * *

ოქტომბრელებს ყველაზე მეტად ხატვა უყვართ. ყოველ დილით ცისფერ ესტრადაზე ფურცლებსა და რვეულებს გადაშლიან ხოლმე. შემდეგ ყველაზე კარგ ნახატებს შეარჩევენ და იმ კუთხეში აკრავენ, სადაც დიდი ასოებით წერია: „კარგია ჩვენი ბანაკი!"

სწავლა რომ დაიწყება, ბანაკის ანძაზე მომავალ ზაფხულამდე დაეშვება ალამი. აი, მაშინ ყველაზე კარგ ნახატებს ქუქუნა მასწავლებელი მოსკოვში, გამოფენაზე გააგზავნის. ვინ იცის იქნებ რომელიმე მათგანი ბავშვების ნაწერებისა და ნახატების იმ დიდ წიგნშიც მოხვდეს, რომელსაც ეწოდება „დაე, მუდამ იყოს მზე!"

ქუქუნა მასწავლებელმა პატარებს უთხრა:— ფოლადის ამ უსარგებლო ნაჭრებს გადაადნობენ და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ავტომანქანას დაამზადებენო.

ბავშვებმა ყიჟინა მორთეს. თემურს, ნანის, ზაზას, მერაბსა და სხვებს, ვინც ყველაზე მეტი ჯართი შეაგროვა, ქუქუნა მასწავლებელმა დილის ხაზზე მადლობა გამოუცხადა და შეჰპირდა:— თუ მომავალშიც ასე იყოჩაღებთ, ქუთაისში ჩვენი ბანაკის სახელობის ავტომანქანის საზეიმო გამოშვებაზე წაგიყვანთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. გოგიაშვილი

ციყვუნა და დათუნა

პიესა ერთ სურათად

მონაწილენი

ციყვუნა ნათია თათია	ციყვუნას შვილები	დათუნა ათული ბათული	დათუნის შვილები

სცენა წარმოადგენს ტყეს. ფუღუროსთან ციყვუნა საქმიანობს.

დათუნა	—	გამარჯობა, ციყვუნა!
ციყვუნა	—	გაგიმარჯოს, დათუნი!
დათუნა	—	როგორა ხარ?
ციყვუნა	—	რა მიშავს...
დათუნა	—	რა საქმით ხარ გართული?
ციყვუნა	—	ხედავ, სოკოს ვაგროვებ, მიიწურა ზაფხული.
დათუნა	—	როგორა გყავს შვილები?
ციყვუნა	—	უკვე ვაყაცდებიან, ტყიდან პანტას, თხილს და წაბლს თვითონ ეზიდებიან. თქვენ როგორღა ბრძანდებით, როგორა გყავს ბელები?
დათუნა	—	კარგად, კარგად არიან ტყის ერთგული მცველები. წერა-კითხვას სწავლობენ, წუთით არა სცალიათ. გეამება, რომ ნახო, ბეჯითობენ ძალიან. ჭკვიანები, გამრჯენი,

აუა და კიკი

ნახატები **თეიმურაზ უაუერაშვილისა**

თემა **ლევან ჩანგლაძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰგვანან მამა-დათუნის.
ენაცვალოს დედიკო
ათულის და ბათულის...

(შემორბიან ნათია და თათია, ზურგზე ტომრები ჰკიდიათ)

ნათია და თათია — დედა... დედა... გვიშველე, მოგვაშორე ბელები...

ციყვუნა — ნეტავი რად მოგდევენ ეგ არგასაზრდელები.

ათული — წაბლი ჭინდა, დედიკო...

ბათული — ჩქარა, პანტა მაჭამე.

ნათია — ხომ მოგეცი, არ გეყო?

თათია — (აჩვენებს) აჰა, რაღა დამრჩა მე...

ნათია — დედი, ტომრებს გვართმევენ...

თათია — ეს უქნარა ბელები...

დათუნა — (ციყვუნას) ხომ გითხარი, გახლავან
ტყის ერთგული მცველები...

ციყვუნა — ისემც მაგათ რა ვუთხრა,
დავიჯერე, ბგონია?
კარგად ვხედავ, ბაჯბაჯავ,
რა შვილებიც გყოლია:
„ტყუილს მოკლე ფეხი
აქვს“,
ალბათ გაგიგონია!

ფ ა რ დ ა

ნახატი დიმიტრი ზარაფიშვილისა







ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

ფეხბურთი

ბურთი—იქით,
ბურთი —აქეთ.
კარგად არის
ძმებო, საქმე.
შენ —იქ!
აქ—მე!
შენ—იქ!
აქ—მე!
— დარტყმა!
— არის!
და...
წავაგეთ!

იწილო-ბიწილო

იწილო,
ბიწილო,
შა-შვო,
გვრიტო;
ვინ შეჭამა
მურაბა?
ვინ
და,
მი-ტომ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

პანტა

უღრან ტყეში
ხმა გავარდა,—
დაბერტყეო
ქარმა პანტა.

სუყველაზე პირველად,
სად იყო და სად არა,
პანტის სესთან
მიძუნძულდა —
დათვის ბელი პატარა.

ფოსტალიონი

იოლია, იოლი,
გახდე ფოსტალიონი.
ჩვენმა გიგა-გიგოლამ
ეს რა გამოიგონა?

შეაგროვა ფოთლები
ქარში ჩამოცვენილი,
გააყრუა სოფელი:
— წე-რილი... წე-რილი!..

ხომ ეოფილა იოლი,
გახდე ფოსტალიონი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

მამალი და ბაჭები

მარი აბრამიშვილი

მამალს ჩიჩასვგატენილს
წინ შემოსვდნენ ბატები.
— ნეტავ რას დაუანუალოობთ
ფრთების ტკაცუნ-ტკაცუნით,
არ გინდათ, რომ გასწავლოთ
სიარული კაცური?—
და დაიძრა მამალი,
თავსაც აღარ აბრუნებს,
მიდის, მიიჯგიმება,
დეზებს მიაწკარუნებს.
ბატებმა თქვეს:—ჩვენსავით
ჯერ შენ წუალში გაცურე!
მოდი, მერე გვასწავლე
სიარული კაცური.

მელას ოინი

ნოდარ შამანაძე

მონადირემ ღურჯა ცხენით
გადიარა მთა და გორა,
ხევში მელას მოჰკრა თვალი,
ესროდა და გააგორა.
სიხარულით ჩაიღიმა,
მელა ღურჯას გადაჰკიდა,
წამოვიდა შინისაკენ
ნელა-ნელა, ჩაქჩაქითა.
გზაზე ხალხი დაინახა,
გასძახა და გამოსძახა:
— მელა მომყავს, რა მელაო,
ცხენს ჰკიდია აგერაო.
უკან დინჯად მიიხედა,
მელა უკვე აღარ იყო,
უცებ მოცოცხლებულიყო
და ცხენიდან ჩამხტარიყო.
იცინოდა დიდ-პატარა,
ხალხი ჯარად დამდგარიყო,
მონადირეც იქვე იდგა
და სირცხვილით აღტ[illegible] იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაია—ნახატი **ნინო არსენიშვილისა**, 3 წ. თბილისი.

თოჯინა—ნახატი **ნინო თორდუასი**, 4 წ. თბილისი.

ყვავილობა—ნახატი **ნინო ხულამანიძისა**, 6 წ. თბილისი.

ნავსადგურში—ნახატი **ქეთინო გველესიანისა**, 7 წ. ნიკოზია (კვიპროსი).

არწივი—ნახატი **მამუკა ლორთქიფანიძისა**, 3 წ. თბილისი.

მთავარი რედაქტორი **ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ბ ა ს ა ვ ა ნ ი ა**

სარედაქციო კოლეგია: **ეკაترინე ბოგვიანაშვილი**, **ლეილა ერაძე**, **ჯემალ ლილუა**, **ზურაბ ლომაიძე**, **მაკვალა მრევლიშვილი**, **ოლრაგ ძმბარიშელიძე** (პ/მგ მდივანი), **შალვა ცანავა** (სამხ. რედაქტორი), **ბიბი ქინლაძე**

სპეციალური ყდაზე ნახატი **ედვარდ ანგოლაძისა**

ხაჭ. ალაკ ცკ-ის **და ვ. ი. ლენინის** სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური სახაზო ეურნალი. გამოცემის 44-ე წელი.

ტექრედაქტორი **ბ. რუნინიშვილი**

ხაჭ. ქპ ცკ-ის **გამომცემლობა**

Издательство ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნისა — 93-98-16.

ფაქტიური ასაწყობად 19/IV-71 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-71 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურცელი 2,5, ტირაჟი 150.500. შეკვ. № 1486 „Дила" № 8. на грузинском языке. ფასი 20 კ.